სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2024 წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2024 წლის ანგარიშს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის თაობაზე.

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში, 2024 წლის 1 იანვრიდან 6 დეკემბრამდე, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, სულ შემოსულია 134 განცხადება: საჯარო ინფორმაცია, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, გაიცა 125 შემთხვევაში; 9 წერილი განხილვის პროცესშია. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორის ,,საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფის შესახებ'' 2023 წლის 20 ივნისის N REG 4 23 00001572 ბრძანების თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია - სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საორგანიზაციო საკითხთა სამმართველოს უფროსი.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 35-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტო აწარმოებს საჯარო ინფორმაციის რეესტრს, სადაც ფიქსირდება ინფორმაციის მოთხოვნის, დაკმაყოფილების, უარის თქმის შემთხვევები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თარიღების და ასევე, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა და რომელსაც გაეგზავნა აღნიშნული ინფორმაცია.

რაც შეეხება პერსონალური მონაცემების შეგროვების , დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ ინფორმაციას, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების შესაბამისად, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას, საკუთარ ელექტრონულ რესურსზე - rama.moh.gov.ge .

საჯარო მოსამსახურეთა მიერ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევა, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში არ დაფიქსირებულა.

საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.

პატივისცემით,